



სასწავლო ცლის დაცემის აღსანიშნავი პარაკლისი



თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორის, სრულიად საქართველოს პროტოკარეს ვიზიტის, დეკანოზ გიორგი ზეიადაპის დალოცვა ახალი, 2023-24 სასწავლო ცლის დაცემასთან დაკავშირებით

სიონის საკათედრო ტაძარი, 2023 წლის 14 სექტემბერი



სასულიერო აკადემია არის მაღალი სამეცნიერო და მაღალი სულიერი მოღვაწეობის ადგილი. ამიტომ ყველა ჩვენგანს გვაქვს დიდი პასუხისმგებლობა, რომ იმ ლოცვა-კურთხევის საზომში ვიყოთ, რა ლოცვა-



სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდი-სათა. ამინ.

პატივცემულო მოღვაწნო, პატივცემულო პროფესორ-მასწავლებელი, პატივცემულო სტუდენტები, ნება მომეციო ყველას გადმოგცეთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მამამთავრის, უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევა, მისი დალოცვა.

სასულიერო აკადემიაში მოღვაწეობის დროს ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის დიდი პასუხისმგებლობა, პასუხისმგებლობა იმ გეზის და ლოცვა-კურთხევის მიმართ, რაც პატრიარქმა დაუსახა მის მიერ დაარსებულ უმაღლეს საღვთისმეტყველო სკოლას – იყოს გამართანებელი მეცნიერების და რწმენის, ცოდნის და რწმენისა. ყველაზე მეტად რაც შეცვერის სასულიერო აკადემიაში ყველა პიროვნებას – მღვდლმასახურს, პროფესორ-მასწავლებელს, სტუდენტს – ესაა ერთგულება უწმიდესი პატრიარქის მიერ დასახული გეზისა, ერთგულება - ლვის, პატრიარქის, ჩვენი სამშობლოს, უწმიდესი მართლმადიდებლური მოღვრებისა. უაღრესად მნიშვნელოვანია, ყველა ჩვენგანი სასულიერო აკადემიაში ვმოღვაწეობდეთ მოკრძალებით, თავმდაბლობით, დიდი პასუხისმგებლობით, ცოდნისმოყვარეობით და უცდილობდეთ სულიერებაში წარმატების მიღწევას.

ცოდნასა და სულიერებაში წარმატებას საზღვარი არა აქვა. წესისმიერი პიროვნება, რომელიც იღვანებს იმისთვის, რომ საღვთო, იმ უკვდავ ცოდნაში, რაც ეკლესიის წარმატება დაუნვჯებული, წარემატოს. რაც მეტს ისწავლის, უფრო მეტად თავმდაბლი და მოკრძალებული გახდება. რაც უფრო წარმატება სულიერებაში, ცოდნაში, უფრო მეტად მიხვდება, თუ რამდენად დიდი შრომას საჭირო, მეტ სიმაღლეებს მისწვდეს, როგორც ცოდნაში, ისე სულიერებაში.

კურთხევა და რა გეზიც უწმიდესმა პატრიარქმა დაუსახა თბილისის სასულიერო აკადემიას.

მინდა გამოვხატო ჩემი უდიდესი მოწინება, პატივისცემა და მაღლიერება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი ილია II-ის მიმართ, რომელიც სასწავლებლის სამეცნიერო საბჭოს პროფესორ-მასწავლებლების თხოვნით ამ უმნიშვნელოვანების საღვთისმეტყველო სკოლის რექტორი ბრძანდებოდა გარკვეულ პერიოდში.

პატივისცემას და მაღლიერებას გამოვხატავ თითოეული თქვენგანის მიმართ, იმ ერთგულების გამო, რაც თქვენ გაქვთ პატრიარქისა და წმინდა ეკლესიისადმი.

მინდა გამოვხატო განსაკუთრებული პატივისცემა ყველა იმ პროფესორ-მასწავლებლისადმი, მისი დაარსების დღიდან რომ მოღვაწეობენ თბილისის სასულიერო აკადემიაში. პატივს მივაგებ იმ პედაგოგების სხვანას, რომლებიც ამ წუთისოფელში უკვე ალარ იმყოფებიან. ლმერთმა აცხოვნოს და სავანესა მართალთასა დაამკიდროს მათი უკვდავი სული. მინდა გამოვხატო ჩემი დიდი პატივისცემა და დალოცვა მათი შრომისა და ლვანების მიმართ.

მაღლიერას მოვახსენებ ყველა იმ პედაგოგს და თანამშრომელს, რომლებიც დღეს ერთგულებით ემსახურებიან ახალგაზრდების სწავლებასა და აღზრდას.

მინდა, გამოვხატო ჩემი დიდი პატივისცემა და დალოცვა სტუდენტების მიმართ, რომლებიც წათლად აცნობიერებენ, თუ რას ნიშნავს იყო თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიის სტუდენტი.

თბილისის სასულიერო აკადემიაში ყველაზე მეტად და თვალნათლივადა გამოკვეთილი ურთიერთბატივისცემა პროფესორ-მასწავლებლებსა და თანამშრომლებს შორის, პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს შორის. ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა შეძლო, ურთულეს დროს დაუკარსებინა თბილისის სასულიერო აკადემია, რადგან ამ უმაღლესი საღვთისმეტყველო სკოლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ეკლესიის აღორძინება, საქართველოს აღორძინება, შეუძლებელი იქნებოდა საღვთისმეტყველო მეცნიერების აღორძინება, საქართველოს სულიერი წინსვლა. ღვთის უდიდესი მოწყალებით, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შემწეობით და უწმიდესის უდიდესი დამსახურებით გახდა შესაძლებელი მის მიერ დაარსებულ სასულიერო

აკადემიაში დოქტორანტურის და სადისერტაციო საბჭოს შექმნა, რომლის თავმჯდომარეც თავად სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II პრძანდება.

და დღეს, მაღლიერა ღმერთს, რამდენად დიდი სიკეთეა, რომ თბილისის სასულიერო აკადემიაში ყველას, ვისაც სურს, შეუძლია დოქტორანტურაში ისნავლოს, საღვთისმეტყველო მეცნიერებაში ხარისხი მოიპოვოს და დისერტაცია დაიცვას თეოლოგიის მიმართულებით.

მოგილოცავით ახალი სასწავლო წლის დაწყებას და მაღლიერა მოვახსენებ ყველა მოღვარს მსახურებაში მონაცილებისათვის. უკლიუცავ ჩვენს პროფესორ-მასწავლებლებს, თანამშრომლებს და სტუდენტებს, განსაკუთრებით პირველკურსელებს, რომლებიც პირველად ესწრებიან ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებულ პარაკლისა.

ლმერთმა დაგლოცით ყოველი თქვენგანი და პარაკლისის მსახურების ლოცვაში აღმოკითხული სიტყვები – ლმერთო გარდამოავლინე მაღლი შენი და განაათლე გული და გონიერი ჩვენი – ასრულდეს. ლმერთმა ინებოს, და გარდამოავლინოს ჩვენზე თავისი მადლი და წყალობა, განაათლოს ჩვენი გული და გონიერი, რომ შევძლოთ საფუძვლიანი და ღრმა განათლებით, მაღლი სულიერებით ვიმსახუროთ წმინდა მართლმადიდებელ ეკლესიაში, ვიმსახუროთ წმინდა სარმატების ერთგულებით, პატრიარქისა და ჩვენი სამშობლოს ერთგულებით.

ლმერთმა დალოცით ჩვენი სამშობლო და შეგვაძლებინოს, რომ თითოეულმა ჩვენგანმა უშურველად იმოლვანოს საქართველოში სულიერების განსამტკიცებლად და საღვთისმეტყველო მეცნიერებაში ჩვენი საზოგადოების განსასწავლად.

ლმერთმა დაგლოცით, მოგანიჭოთ თავისი დიდი მადლი და წყალობა.



20 ოქტომბერს სიონის საკათედრო ტაძარში თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორმა, პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ სასწავლებლის სასულიერო პირებთან და სიონის ტაძრის მღვდელმსახურებთან ერთად თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გარდაცვლილ პროფესორ-მასწავლებელთა, სტუდენტთა და თანამშრომელთა სულის მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადა.

პანაშვიდს ესწრებოდნენ გარდაცვლილთა ოჯახის წევრები, სასულიერო აკადემიისა და სემინარიის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

მსახურების დასასრულს პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ ისაუბრა გარდაცვლილ პროფესორ-მასწავლებელთა ღვაწლზე ეკლესიისა და ერის წინაშე. აღნიშნა, რომ ბევრი მათგანი სასწავლებლის დაარსების დღიდან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის მოწვევით მოღვაწეობდა აქ და მათ სახელთან დიდილად არის დაკავშირებული თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის დღევანდელი წარმატება, მიღწეული სამეცნიერო და საღვთისმეტყველო მიმართულებით. მათი ცოდნა, გამოცდილება კი ბევრი სტუდენტი-სათვის სამეცნიერო, ინტელექტუალური და საეკლესიო მოღვაწეობის საწინდარი გახდა.

- გარდაცვლილ პედაგოგთა და სტუდენტთა მოსახსენებელი დიდი პანაშვიდი ყოველწლიურად სრულდება სიონის საკათედრო ტაძარში. ამ მსახურებით თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია პატივს მიაგებს, გამოხატავს მოწინებას, სიყვარულსა და მადლიერებას გარდაცვლილი პედაგოგების, სტუდენტებისა და თანამშრომლებისადმი. ღრმად მწამს, რომ ჩვენი ლოცვა ღვთის წინაშე მათვის, ვინც ამ წუთი-სოფელში აღარ იმყოფება, შემწე და მანუგეშებელია, - ბრძანა მამა გიორგი ზვიადაძემ.

მსახურებაზე გალობდნენ თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის მგალობელთა გუნდები ლაშა ზაალიშვილისა და ლექსო გრე-მელაშვილის ხელმძღვანელობით.



საჯარო ლექცია

23 ოქტომბერს თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიაში გაიმართა დონის სასულიერო სემინარიის დოკუმენტის, სისტემური ღვთისმეტყველებისა და ფილოსოფიის კათედრის გამგის ივან ულიტჩევის საჯარო ღვევრით თემაზე: „პიროვნების ღვთისმეტყველება და მართლმადიდულური ტრადიცია“.

მკვლევარმა თავისი მოხსენებაში მიმოიხილა ანტიკური და ქრისტიანული მოძღვრებანი ადამინის შესახებ. ისაუბრა პიროვნების - როგორც თავისუფალი ნების მქონე ინდივიდის - არსზე და აღნიშნა, რომ პიროვნების საზრისის აღქმა-შეცნიბა მხოლოდ იმ მოძღვრებით გახდა შესაძლებელი, რომელმაც სამყარო და ადამიან უზენაში ღმერთის ქმნილებად გამოიცხადა. ივან ულიტჩევმა ისაუბრა ცნებათა - ინდივიდი და პიროვნება - შესახებ: „სანამ ჩვენ არ გამოვალთ საკუთარი, მე“-ს ეგოცენტრული შეზღუდულობიდან, ჩვენ მხოლოდ ინდივიდები ვართ და არა პიროვნებანი. როდესაც განღმრთობის გზას და-

ვადგებით, ე.ი., როდესაც ჩვენ ვთავისუფლდებით ჩვენი ინდივიდუალური ყოფის შეზღუდულობიდან და გული სიყვარულით გვევსება - თავს ღმერთსა და მოყვასს ვუძღვით და სწორედ მაშინ იბადება პიროვნება. სხვა სიტყვებით, საკუთარ თავს ვპოულობთ იქ, სადაც ჩვენი „მე“ ხვდება ღვთის „შენ“-სა და მოყვასის „შენ“-ს, იმიტომ რომ სწორედ განღმრთობის პროცესში, რისთვისაც ჩვენ ვართ შექმნილები, შეგვიძლია ბოლომდე, გულწრფელად, ეგოზმის გარეშე გავუსნათ გული ერთმანეთს“.

მომხსენებელმა ისაუბრა სიტყვისა და საქმის მნიშვნელობაზე ქრისტიანის ცხოვრებაში და თავისი გამოსვლა დაასრულა სიტყვებით: „მნიდა ვთქვა, რომ მართლმადიდული ეკლესიის სულიერი გამოცდილება უპირატესობას ანჭებს არა სიტყვას (თუმცა ძალზე მნიშვნელოვანია გამოცდილებაზე დაფუძნებული სიტყვის ძალა), არამედ თვით ცხოვრებას ღმერთში, მასთან თანამყოფობას“. მომხსენებელმა ღირსი ისიღორე პელისიორის სიტყვები მოიხმო: „ღვთივსათნო ცხოვრებას სიტყვის გარეშე მეტი სარგებელი მოაქვს, ვიდრე სიტყვას მართალი ცხოვრების გარეშე. რადგან მდუმრება გეხმარება, ხოლო ყეირილი შემაფერხებელია. მაგრამ თუ სიტყვა და საქმე ერთმანეთს



თანხმდება, ეს უკვე უმაღლესი ფილოსოფიაა.

ლექციის თემატიკა მსმენელთათვის მეტად საინტერესო იყო. მომხსენებელმა ამომწურავად უპასუხა აუდიტორიის მხრიდან დამუშავდებოდა.



საპაკალავრო ნაშრომის დაცვა

13 ოქტომბერს, სტუდენტმა რევაზ (ნიკოლოზ) ჩარგაზიამ დაიცვა საბაკალავრო ნაშრომი თემაზე - „ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ნინასახები ხუთნიგნეულში“. ნაშრომის ხელმძღვანელია თეოლოგიის მაგისტრი, დეკანოზი ვლადიმერ ვახტანგაძე, ექსპერტი - თეოლოგიის მაგისტრი ზაქარია ბლიაძე. ნაშრომის დაცვას ფაულტეტის საბჭოს წევრები, პრორექტორი, სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები ესწრებოდნენ.

დიპლომანტის ნაშრომმა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

► გეოთეკ გვერდილან

ବ୍ୟାକସାଙ୍ଗରେ ପୁଣ୍ୟତ୍ୱିଲୀ,

ସାଶ୍ଵଳିଗ୍ରହ ଶେମିନାରାଜୀବ ତୀର୍ତ୍ତବ୍ୟେଲପୁର୍ବେଲୀ

დავიბადე და გავიზიარდე მართლ-
მადიდებელ ოჯახში. მოვინათლე სვეტ-
იცხოვლის საკათედრო ტაძარში და
ბავშვობიდან დავდივარ ტაძარში, ვაბა-
რებ აღსარებას, ვეზიარები.

ამჟამად ვარ თბილისის ყოვლადწერილობისა და სამეცნიერო კულტურული მემკვიდრეობის განვითარების სამსახურის მიერ მიმღები მომსახურების მიზანით.

Եղելս Ծարհինեցիոն դաշտավայրը 47-ը
սաջարու Տէղուած կամ մուշտիկը տօնու-
սուս Տափակաց կամ պատապինը, բայց
գազուռմազու հիմու Առաջնա լուտում մի-
շամանութեան առաջնութեան առաջնութեան



სანდრო პოპაძე,

ყვარლის სასულიერო გიმაზიისა
და სემინარის დამთავრებიდან რამდე-
ნიმე წლის შემდეგ, ჩემი მოძღვრის
დეკანოზ იაკობ უშეიკშვილის კურთხ-
ევით, სწავლა გავაგრძელე თბილისის
სასულიერო აკადემიაში.

ძალიან მიყვარს ხატეა, ხენაკე-
თობების დამზადება, გამოყენებითი
ხელოვნების სხვა სახეობები და გა-



შოთა კუხალაშვილი,
ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის
პირველკურსელი

ჩვენ, სამი ძმა კუხალაშვილები ქალაქ სიონიდან ვართ.

სიონის მესამე საჯარო სკოლის დამთავრების შემდეგ, მე და ჩემი ძმა, ლუკა, 2019 წელს ჩავირიცხეთ თბილისის სასულიერო აკადემიის საეკლესიო არქიტექტურის ფაკულტეტზე, რომელიც წელს დავამთავრეთ და არჩეული პროფესიის სრულყოფილად დაუფლების მიზნით აქვე ქრისტიანული ხელოვნების ფაკულტეტზე განვაგრძეთ სწავლა.

ჩვენი უმცროსი ძმაც, ნიკოლოზიც, ჩვენ კვალს გამოჰყვა და ამჟამად საეკლესიო არქიტექტურის მეოთხე კურსზეა. მასაც გადაწყვეტილი აქეს ბოლომდე დაუკავშიროს თავის განსწავლა თბილისის სასულიერო აკადემიას და აქ განაგრძოს სწავლა.



ჩვენ სამივე ვართ სიონის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მრევლის წევრები, სულიერი მოძღვარი გვყავს დეკანოზი ოთანე (ხვთისიაშვილი), რომლის კეთილი რჩევითაც მოვაჟურნათ თბილისს.

სამიერი ძმას ხელგვენისუბა საეკლესიო და საერო ორნამენტების მოჩუქურთმება და განზრულო გვაწავს ამ პროფესიის სრულყოფილად ათვისება.

ასე გაქელდება ქართული ლითონებადაკავშირისა და
ტიხერული მინაცირების დაუგავების ზრდისაზე

თბილისის სასულიარო კადეგის საეკლესიო არქიტექტურის (ძურობო-ლოგების) ხაზე დაგური და მოცემათის ხაზე რასთავის ფაკულტე-ტის საქართველოს კამიონიკოს-პარკირაჟის კურსებით 2005 წლიდან სტადიონი ეულვებიდან ძარღული ლითონებადან გადას და შესრულებული მინაცენების ხალოვნებას.

კურსს წარმატებით უდლვება გამოცემის საციფროსასტი რამაზ გოლერძიშვილი.

გახდეთ „კლიოპე-დავითისის“ უზრუნველისტთან ჩატოვება რამაზანის ისაუგრძნო როგორ გახდა ეს უციცებული ხალოვნება მისი ცხოვრისის უშუალო „მეგზური“ და, რაც მთავრისის, როგორ აზისარის იგი დაიცვერებასთან სტუდენტებს ამ უციცებული დარღის საიდუმლოებებს.

სახეითი სელოენება ბაგშვილიდან მიყვარდა, თუმცა არ ვფიქრობდი ჩემი მომავალი ამ პროფესიისთვის დამეკავშირებინა. ოჯახის რჩევით და თანად-გომით გადავწყვიტე, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში მესწავლა. სწორედ იქ დავეცულე ჩემს ახლანდელ პროფესიას და მომენტში დეკორატიული გამოყენებითი სელოენების მხატვრის მაგისტრის წოდება. 1992 წლიდან დღემდე დიდი გზა გამოვიარე, ამ ხნის განმავლობაში ცოდნას, როგორც ვა-გროვებდი, ასევე გავცემდი.

ვიდრე სტუდენტი გაეხდებოდი, ყაზბეგის რაიონში, სოფელ სნოს სკოლაში სახვითი ხელოვნების პედაგოგად ვმუშაობდი. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში სწავლის პერიოდში, ჰქედურობის სახელოსნოში უფროსი ოსტატის ასისტენტი ვიყავი. სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში მოღვაწეობის დაწყებამდე კი, ღილოს 63-ე სასწავლებელში საიუველირო საქმეს გასწავლიდი.

ამ დროის განმავლობაში
შევქმნი და კვლავ ვაგრძელებ
მუშაობას ისეთ ინდივიდუალურ
პროექტებზე და კერძო კოლეგ
ქციებზე, რომელთა ანალოგა
ყალიბს არ ვასხამ. თითოეულ
ნამუშევრის საბოლოო იდეა
აღური სახე და შედეგი მიღე
წევულია დიდი შრომის ფასადი
რადგან ყველა დეტალს ვა
მუშავებ ხელით, მაქსიმალურ
სიზუსტით. ნამუშევრების დიდ
ნაწილი საქართველოს სსხ
ვადასხვა ეკლესია-მონასტერში
დაბრძანებული, ნაწილიც საზ
ღვრებს გარეთ - იტალიასას
საბერძნეთსა და რუსეთში.

აღნიშვნული კურსი სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, დაუუფლონ ლითონქანდაკების საფუძვლებს და გაცნონ იმ გამოცდილებას, რომელიც ქართულ ლითონქანდაკებისა და ტიხრული მომინანქრების ხელოვნებას საუკუნეების განმავლობაში დაუგროვდა. ამასთანავე, გაცნონ თანამედროვე მასალებს, მათ თვისებებს და გამოყენების მეთოდებსა და დამუშავების ტექნიკას. ეს ყველაფერი მიმდინარეობს უსაფრთხოების წესების სრული დაცვით, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია სრულყოფილი ნაწარმის შექმნის პროცესში.

სტუდენტები სწავლობენ როგორ იქმნება ესკიზები ამა თუ იმ თემაზე. ლითონებანდაკებისთვის როგორ მომზადდეს ფერადი ლითონის ფურცელი და როგორ მოხდეს მასზე ესკიზის დატანა, როგორი და რა კომპონენტებია საჭირო იმ შენადნობის მოსამზადებლად, რომელიც აუცილებელია ლითონებანდაკების უძალვეს ღონეზე დასამუშავებლად.

ასევე სწავლობენ ღითონქანდაკებისთვის აუცილებელი თეგების დამზადებას და მათ გამოყენებას. ამ ყოველივეს თეორიული და პრაქტიკული შესწავლა სტუდენტებს საშუალებას აძლევს, დაამუშაონ და შექმნან სასურველი და სრულყოფილი ნაწარმი ფურცლოვან ღითონში და გააგრძელონ ჩვენს ქვეყანაში საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ცოდნის რეალიზება და მომავალში ცოდნა გადასცენ მომდევნო თაობას.

რამაზ გოდერძიშვილი,
მინანქრის ლაბორატორიის გამგის თანაშემწე



მრავალგვილიანობა - ფუძე ქვეყნის მომავლისა

დღეს და მომავლი...



ფაკულტეტის პირველკურსელმა არჩილ ხაჩიძემ და ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნების ფაკულტეტის სტუდენტმა ლევები არიან. ნინო, მარიამი და ეკატერინე თბილისის 212 -ე საჯარო სკოლაში უფლებიან განათლებას.

არჩილისა და სოფიოს ოჯახს წინ კიდევ დიდი გზა ელოდებათ და ბედნიერ მომავალს უსუსრებათ.

მრავალგვილიანობა ერთგვარი სტიმულის მიმცემიცა მამა არჩილისთვის.

ეს რომ ასეა, საქმარისია მისი მოლვანების მოკლედ აღნუსხვაც

2009 წლის მარტში მამა არჩილი რუსთავში მეუფე იოანემ აკურთხა დიაკვნად და 9 თვის განმავლობაში დიაკვნად მსახურობდა სამების საკათედრო ტაძარში, მალევე, 27 დეკემბერს, დედოფლისწყაროში მეუფე მელქისედევამა მღვდლად დაასახა ხელი და კუკაზე მდებარე წმინდა ნინოს სახელობის ტაძარში განწესდა, 2021 წლის 3 სექტემბერს პატრიარქის ბრძანებით ანჩისატის ტაძრის ნინამძღვრად დაინიშნა.

საგულისხმო მამა არჩილის მეცნიერულ საქმიანობაც. მის მიერ ხათარგმნ წიგნს „შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრების შესახებ“ უკვე 15 წლია სახელმძღვანელოდ იყენებენ სასწავლებლებში. ასეთივე დაზიშულებისაა მისივე მომზადებული „შვიდი საეკლესიო საიდუმლო“, „მართლმადიდებლური ეკლესის საიდუმლოებანი“.

არჩილ ხაჩიძის რედაქტორობით მრავალი თეოლოგიური წიგნია გამოცემული.

ამ მონათხოვის დასასრულს, გვ-



დეკანოზ არჩილ ხაჩიძეს 24 დეკემბერს 39 წელი შეუსრულდება.

ხაშურში დაბადებულმა ყმანვილმა ახალი საუკუნის დასაწყისში, 2001 წელს, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარისა მოაშურა და სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ბედი და მომავალი ქვეყნის უპირველეს სასულიერო სასწავლებელს.

სემინარის დამთავრების შემდეგ სასულიერო აკადემიაში განაგრძო სწავლა, ამჟამად დოქტორანტია და თემაზე - „კაპელანობის რაობა და ისტორია საქართველოში“ - მუშაობს.

რა მიზნითაც ამ წლილს მკითხველთ წარვუდგენთ, შემდეგია: ეს სინამდვილე და ისტორია სასულიერო აკადემიის კედლებში დაფუძნიანდა. სალვასმეტყველო

სოფიო დავითაშვილმა სტუდენტური იჯახი შექმნეს.

მაშინ მამა არჩილი 22 წლისა იყო.

და აი, 17 წლის თანაცხოვრების განმავლობაში მის ოჯახს მრავალშვილიანობა დაენათლა: გიორგი, თენგიზი, ალექსანდრე, ნინო, მარიამი, ეკატერინე... კველაზე უმცროსს საბავშვო ბალის ასაკმდე ცოტა აკლია, უფროსები პირული კომაროვის სკოლის მოსწავლებელი კომაროვის სკოლის მოსწავ-

სურს, მკითხველს წარმოსახვით გავუცნობიეროთ ასეთი სურათი: მისაბაძი ოჯახის დღევანდელი და მომავალში მომატებული შვილებისაგან რაოდენი სიკეთე ელოდება ქვეყნას, როცა ისინი, ლეთისნიერ გზამიცემულნი დამოუკიდებლად შეუდებებიან ცხოვრებას და სამშობლოსადმი მსახურებას.

გივი შეიძლაც

სულხან-საბას „სიტყვის კონიდან“

პარაკლიტონი - ნუგეშინის - საცმელი.

პატარძალი - უმცროსი რძალი.

პატიმარი - შეუკრავად პყრობილი.

პირველი - პირველ შობილი.

პიტაკი - საყვედრებელი მინაწერი.

ჟანტი - მცირე რამ სისველე.

ჟული - წყლულის მონაცენი.

ჟღურტული - მეგრელთაგან მრუდი

ლაპარაკი - გინა ჩინკვთა და კაჭაჭთა ლაპარაკი.

ცისიერი - ესე არს ჰაერთა შინარიც იქმნების: ელვა, ქუხილი, მეხი, ტატანი, ვარსკვლავკუდედი, სეტყვა...

ცისკარი - მონევნა განთიადისა.

ცოდვა - ავის ქმა.

ცრიატი - დღე ღრუბელი - აშლილი,

ცივი.

ცუდმავალა - უსაქმოდ მოარული.

ცხრომა - გაგსებული მთვარის მოკლება.

ძლისპირი - გალობის წიგნი.

ძოღან - ესე არს სამ-ორს დღეს უნიდელი და შარშანს აქეთი.

წადიერი - მონადინებით მდომ(ელ)ი.

წამება - მარტვილობა.

წამებული - მარტვილი.

წარაფი - წვრილი მოგრძო ტყე.

წარმართი - უშკულოებით მავალი.

ჭაპანი - საურმე თოკი.

ჭოჭი - ადგილი წყლიანი.

ხასური - მლაშე წყლის მარილი, გინა

რაც წყლისა და ტბისაგან მარილის მსგავსი რამ გამოვა: შაბი, ბავრული,

ჩაძნელი ქადაგი ქანთავლი

„კარგი იქნებოდა, როცა ვკითხულობდით ძველ ქართულ ლიტერატურას, ამოგვეწრა სიტყვები, რომელიც დღეს დავითაშვილებულია, გამქრალია და დაუბრუნოთ მშობლიურ გარემოს, მეტყველებას. ბევრი ლამაზი, ბევრის დამზევი სიტყვა შემორჩენილი ცალკეულ კუთხეში... შეიძლება ისინი დავამკვიდროთ დღევანდელ სასაუბრო ენაში.“

უნდობლივ და უნეტარესი ილია //

გვარჯილა...

ჯილე - წყალთაგან გამოფლატული.

მგრძნობელი - შემტყობელი.

კორდი - უნამუშევარი მინა, უმუშავი მინა მწვანე.

კრიკინა - ვეღური ყურძენი.

ლიზელობა - რა კაცი უაღრესასა და

უპატიოსნესასა თვისისა კადნიერად და ხუმრიობით ეტყოდეს და წყენას არ

ელოდეს.

ლომბიერი გუნება - მშვიდი და წყნარი.

ლუსკუმა - მაღალი საფლავი.

ლუფხი - ფხვნილი წყალში გახსნილი.

კრესა - ძარცვა, პარვა.

კეროვანი - სხვისი სანთელი.

კნაჭვა - ავად მოკვეცა.

კნინი - მცირეთ უმცირესი.

ერის სიცოდეები

რუბრიკას „შძგვება
მღვდელი გიორგი გაშალომიძე“

სიონის საკათედრო ტაძარი



დღეს სადაც სიონის საკათედრო ტაძარია, ამ ადგილზე პირველი ეკლესია ვახტანგ გორგასალმა ააგო. ტაძარს საფუძვლად დაედო ლვისმშობლის მიძინების ადგილზე გეთსამანიის ბაღში აღმართული ტაძრის გეგმა. მშენებლობა გრძელდებოდა ტახტის მეტყვიდრის – დაჩისა (499-514) და ქართლის ერისმთავარ გუარამ კურაპალატის (514-599) დროსაც. გადმოცემის თანახმად, ისინი სიონშია დაკრძალული. მშენებლობა, რომელშიც

ისმთავარ ადარნასეს (619-639) დროს, 620-იან წლებში. ტაძრის აღშენებაში ასევე დიდი წვლილი შეუტანია ვინძმე მდიდარ ქვრივს, რომლის ვინაობაც უცნობი დარჩა.

სიონის საკათედრო ტაძრის დავანდელი, გუმბათოვანი ნაგებობა დავით აღმაშენებელმა ააგო მე-12 საუკუნეში თბილისის გათავისუფლების შემდეგ.

1226 წელს თბილისის დამლაშქრავ ხვარაზმელთა შაპის ჯალალ ედ-დინის

თვალს იმ მოწამებს, რომელთაც არ შეურაცხვეს სიონის ტაძრიდან გამოტანილი და მეტების ხიდზე დასვენებული მაცხოვრისა და ლვისმშობლის ხატები. საუბარია ასიათას წამებულ მოწამეზე. სიონმა ამის შემდეგაც მრავალი განსაცდელი გამოიარა. გაუძლო, თემურ ლენგის, შაჰ თამაზისა და შაჰ აბასის შემოსევებს.

სიონისთვის განსაკუთრებით სავალალოა „ოსმალობის ხანა“ – ქართლზე ოსმალთა ბატონობა. 1727 წელს თურქეთის სულთანმა ქართლის ვეზირს – ისაყ-ფაშას სიონის ტაძრის მეტეთად გადაკეთება უბრძანა. სასულიერო პირთა თხოვნით თავადმა გივი ამილახვარმა თავისი გავლენა გამოიყენა და ფაშასგან ტაძრის ხელუბლებლობის პირობა მიიღო. სწორედ ამიტომ, სიონის ტაძრის მთავარანგელოზის სახელობის ეკვდერში ყოველ თომას კვირიაკის შაბათს აღელობება საგანგებო წირვა ამ დიდი მამულიშვილის სახელზე.

კვდერაზი – სიონს აქვს ორი ეკვდერი. ერთი, სამხრეთის მხარეს - მთავარანგელოზის სახელობის, რომელიც მე-13 საუკუნისაა. მოგვიანო ხანში ის დაინგრა და XIII საუკუნის ნაშების შემცველი წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის სამხრეთი ეკვდერი 1657 წელს აღადგინა თბილელმა (ე.ი. თბილისის) მთა-

ვარეპისკოპოსმა ელისე საგინაშვილმა. ამას მოწმობს წარწერა სამხრეთ ფასადზე: „ნებითა ღუთისათა და შენებუნითა სიონთა ღუთის-მშობლისათა, მე თფილელმან ელისე საგინაშვილმან, ალუაშენე გუმბათი ესე სიონისა, ორჯერ სამხრეები და კარისბჭე და დავხატე და შევამკე ყოვლითა სამკულითა. შენდობას იტყოდეთ ღუთის გულისათვეს. ამინ“.

მეორე ეკვდერი ვახტანგ მეექვის აგებულია, რაზეც ასევე გვამცნობს მასზე განთავსებული წარწერა. ამავე წარწერით ირკვევა, რომ მეფე ვახტანგმა ტუფის ქვით მოაპირკეთებინა სიონის ტაძრის ნაგებობა.

საფლავები – სიონის ტაძარში, კანკელის სამხრეთით, კედელში, წმიდა თომა მოციქულის თავის ქალა ასვენია. საკურთხეველში, ტრაპეზის ქვეშ დაკრძალულია VI საუკუნეში მოწმებრივად აღსრულებული წმინდა ევსტათი მცხეთელის ნაწილები. სადაც კვენეს კარის წინ, სამხრეთ კედელთან თეთრი ქვის აკლდამაში ასვენია ეპისკოპოს იოანე მანგლელის (1666-1751) ნეშტი. საკურთხევლის წინ და გუმბათების ბურჯებთან საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქების საფლავებია: კირიონ მეორის (1855-1918), ლეონიდეს (1861-1921), ამბროსის (1861-1927), ქრისტეფორეს (1873-1932), კალისტრატეს (1863-1952), მელქისედეკ III-ის (1872-1960), ეფრემ II-ის (1896-1972) და დავით V-ის (1903-1977); დასავლეთ მელქისედეკი - პოეტ ვახტანგ ორბელიანისა (1812-1890).

სარეკლოები – ტაძრიდან ათიოდე მეტრით ჩრდილოეთით დგას აგურის სამიარუსიანი სამრეკლო, რომელიც აშენებულია მეფე ალექსანდრე I-ის მიერ 1425 წელს, მისი ზედა იარუსი დააგრიეს 1795 წელს. აღა მაპად ხანის შემოსევის დროს დანგრეული შენობა 1939 წელს შეაკეთეს და თავიდან ააგეს ფანჩატური.

სამიარუსიანი სამრეკლო ეზოში აშენებულია მეფე ალექსანდრე პირველის მიერ, რომელიც განახლებულია მე-18 საუკუნეში.

მეორე სამრეკლო, ტაძრის ეზოს გარეთ - სამსართულინ შენობას წარმოადგენს. მდებარეობს ტაძრის ჩრდილო-დასავლეთით, ქუჩის მოპირდაპირე მხარეს. ის აშენებულია პეტერბურგიდან გამოგზავნილი რუსული პროექტის მიხედვით და რუსული კლასიციზმის პირველ ნიმუშს წარმოადგენს თბილისში. აშენებულია 1812 წელს ციცანოვის დროს.

მოდა ნინოს ჯვარი – არსებობს ჯვრის წამომავლიბის ორი ვერსია. მე-11 საუკუნეში მოღვაწე არსენ იყალთოელის რედაქციის მიხედვით წმიდა ნინოს ეს ჯვარი ღვთისმშობელმა უბობა, ხოლო მე-10 საუკუნის ცნობილი ისტორიული წყარო, „მოქცევად ქართლისაც“ გვაუწყებს, რომ იგი წმიდა დედამ თავად შეერა ვაზის ნამსხლავთაგან და საკუთარი თმებით შეერა. ამავე ისტორიული წყაროს მიხედვით, მეფე მირიანმა საკუთარი შვილი მეფედ სწორედ ამ ჯვრით აკურთხა... შემდგომ მას ვხვდებით შუ-



თომა მოციქულის თავის ქალა

ერისთავებთან ერთად მონაწილეობდა ქალაქის მოსახლეობა, დასრულდა ერ-



► გერვავ გვერდიდან

შპილის წამებაში, რომელმაც ჯვარი ვინე ანდრიას გადასცა, მან კი ეს სი- წმინდე სომხეთში წაპრძანა. დავით ალმაშეებლის მიერ ანისის აღების შემდეგ დავითმა ჯვარი საქართველოში დაპრუნა. შემდგომი შემოსევებისას ჯვარი მთებში გახიზნეს. ამ მხრივ

რუნებას, მაგრამ რუსეთში მცხოვრები ქართველები უარზე იყვნენ, რადგან სამშობლოდნ მოწყვეტილთ, ერთდერთი რაც საქართველოსთან აკავშირებდათ, სწორედ ეს ჯვარი იყო. ცნობილია, რომ გიორგი მე-12-ემ მუქარის წერილიც კი გაუგზავნა რუსეთში მყოფთ, მაგრამ ამითაც არაფერი გამოვიდა. მისი გარდაცვალების შემ-



მთავრანგელოზის სახელობის ეკვდერი

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1749 წელი, როცა რომანოზ თბილელმა ეს ჯვარი საქართველოდან გააპრძანა და ჩაიტანა რუსეთში, ნიუნი-ნოვგოროდის ოლქის სოფელ ლისკომი, სადაც ცხოვრობდნენ ვახტანგ მეექვსის შთამომავლები. ჯვარი გადაეცა ვახტანგის შვილთაშვილ გიორგი გრუზინსკის დაპრუნდა. იგი სტეფანწმინდიდან შემოაპრძანეს და გიორგი მე-12 ცდილობდა ჯვრის დაპ-

დეგ ქართველებმა რუსეთის რეზიდენტ კოვალენსკის სთხოვეს ჯვარის დასაბრუნებლად ეშუამდგომლა რუსეთის მაშინდელ იმპერატორ ალექსანდრე პირველთან, რომლის ინიციატივითაც ჯვარი საქართველოში დაპრუნდა. იგი სტეფანწმინდიდან შემოაპრძანეს და მას უამრავი მომლოცველი დახვდა.

ექსკურსიები და ვიზიტი გარეჭა და მარტყოფი



5 ოქტომბერს თბილისის სასულიერო აკადემიის სტუდენტებმა, დეკანის, დეკანოზ იოანე კვანჭიანისა და პედაგოგების, ირაკლი ორუონიასა და გიორგი თოდუას, თანხლებით წმინდა დავით გარეჯელის სავანე მოვილოცეთ და მივიღეთ მამა ილარიონის ლოცვა-კურთხევა. აღვასრულეთ ლირსი მამა დავითის საედრებელი პარაკლისი და მივეახლეთ გარეჯში დავანებულ სიწმინდეებს, რომლის შემდეგაც დეკანმა, დეკანოზმა იოანე კვანჭიანმა საინტერესოდ და ამომწურავად იქადაგა ასურელ მამათა ცხოვრებასა და ღვანლზე, საქართველოს იმუამინდელ მდგომარეობაზე და ხაზი გაუსვა მამა დავით გარეჯელის მოღვაწეობის მნიშვნელობას ქვეყნისა და ეკლესიის ცხოვრებაში. პარაკლისის შემდეგ სოფელ უდაბნოს მოსახლეობამ გულითადად გვიმასპინძლა.

"მიეცით ნებისმიერ ერს დავით გარეჯი და მას ისტორია ექნება". ვფიქრობთ, ნიკო კეცხოველის ამ ციტატით, ყველაფერი ნათევამია და ზედმინევნით გადმოსცემს იმას თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, აქვს და ექნება დავით გარეჯს საქართველოს ისტორიაში.

ჯუმარ თომაპა,

საღვთისმეტყველო ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი

დაბრუნებულმა ჯვარმა სიონის საკათედრო ტაძარში დაივანა. ეს მოხდა 1802 წელს. წმინდა ჯვარი ინახება ამბიონის ჩრდილოეთ მხარეს, საგანგებო ნიშაში. ამ სიმინდეს წელიწადში ორჯერ გამოაპრძანებენ, რათა მორწმუნე საზოგადოება მიემთხვიოს მას. ეს ხდება, ერთხელ, წმინდა ნიონის საქართველოში შემოპრძანების დღეს, ახალი სტილით პირველ ივნისს, ხოლო მეორედ მისი გარდაცვალების დღესასწაულზე, ახალი სტილით 27 იანვარს.

სიონის მხატვრობა

მე-13 საუკუნეში, როცა ჯალაოედ-დინმა დააზიანა სიონი, ისტორიული ამბობს, რომ დაზიანდა სიონის ტაძრის მხატვრობაც. შესაბამისად, იმ დროს უკვე სიონი მოხატული იყო. შემდეგი ხსენება სიონის მხატვრობისა არის 1795 წელს, კრწანისის ბრძოლისას, სადაც ნათევამია, რომ სიონის კედლის მხატვრობა ხანძარმა დაზიანა. 1804 წელს, პავლე ციციანოვის განკარგულებით სიონის მხატვრობას რესტავრაცია ჩაუტარდა. 1850-1860 წლებში დაიბადა სურვილი სიონის საკათედრო ტაძრის თავიდან მოხატვისა. იმ დროს საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია ჩამორთმეული ჰქონდა და ამავე ეკლესიას ეგზარქოსები განაგებდნენ. მაშინდელი ეგზარქოსი ისიდორე არ ნასულა სიონის მოხატვის წინააღმდეგ. ეს საქმე დაუვალა თბილისში მცხოვრებ მხატვარს გრიგოლ გაგარინს. დღეს არსებული მხატვრობის დიდი ნაწილი სწორედ მისი მოხატულია. მხოლოდ დასავლეთი კედელია მოხატული ლევან ცუცქირიძის მიერ, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა და მისი პანაშვიდი



წმინდა ნიონის ჯვარი

და გამოსვენება სწორედ სიონის ტაძრიდან მოხდა. უნდა ითქვას ისიც, რომ სიონის კედლის შსატვრობის ბოლო რესტარვაცია პროტოპრესიტერ გიორგი ზევიადაძის უშუალო ძალისხმევით განხორციელდა. სარესტავრაციო სამუშაოები შეასრულეს თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის საეკლესიო არქიტექტურის (ხუროთმოძღვრების), ხატერის, დაზგური და მონუმენტური ხატერის რესტავრაციის ფაულტეტის სტუდენტებმა, პედაგოგ მერაბ ბუჩუკურის ხელმძღვანელობით.

თბილისის სასულიერო სემინარიის სტუდენტები, დეკანის, მამა გიორგი ვაშალომიძის ხელმძღვანელობითა და პედაგოგების - გიორგი თოდუასა და ლაშა ზაალიშვილის თანხლებით, 13 ოქტომბერს მოსალოცად ვიყავით მარტყოფში. თავდაპირველად ვეწიეთ მარტყოფის ყოველთა წმინდანთა სახელობის მონასტერს. მოლოცის შემდგომ სასწავლებლის პედაგოგმა, ბატონიშვილი გიორგი თოდუამ ჩაატარა სემინარი თემაზე - „ძველი და ახალი ალტერნატიული“, რომელმაც ძალზე საინტერესოდ ჩაიარა.

ამის შემდეგმ, მოსალოცად გადავინაცვლეთ მარტყოფის ღვთაების მონასტერში, სადაც აღსრულდა წმინდა ანტონ მარტყოფელის პარტიკულარის გუნდი, ხელმძღვანელ ლაშა ზაალიშვილთან ერთად გალობდა და ამშვენებდა მსახურებას.

სასულიერია ასეთი ექსკურსიები მომავალშიც გაგრძელდეს.

**კახა რამიშვილი,
სემინარიის IV კურსის სტუდენტი**





საქართველოს მთავრობის მინისტრი

**ერთი სახარებისეული ეპიზოდი –
„ჟავეთა მინდას ყოფამ მაგისი, ვიღრეადა მოვიდა,
შედა რამ?" (იოანე, 21.22) – 8ოგიერთი განვარტვაა**

წმინდა სახარების თანახმად, მკვდრეთით აღდგომის შემდეგ იქსო ქრისტე მრავალგზის ეცხადება თავის მონაფეებს (მთ. 28.2-4; მრკ. 16.9-11; ინ. 20.1-18; მთ. 28.5-10/ მრკ. 16.2-8; ლკ. 24.9-12; მრკ. 16.12-13/ლკ. 24.13-35; ლკ. 24.36-48/ინ. 20.19-23; ინ. 20.24-29; ინ. 21.1-24; მთ. 28.16-18/მრკ. 16.16-18; მთ. 28.19-20/მრკ. 16.19-20/ლკ. 24.49-53), რასაც ამონებებს „საქმე წმიდათა მოციქულთა“ (საქ. 1.1-14; 10.41) და პავლე მოციქულის ერთ-ერთ იპიტონის (1. კრ. 15.1-8).

ტიბერიადის ზღვასთან ერთ-ერთი გამოცხადებისას (წმინდა თეოფანე დაყუდებულის მიხედვით, - რიგით მეშვიდე) უფალი იქსო ქრისტე გამოარჩევს პეტრეს, დაუბრუნებს მას სამოციქულო ლირსებას (ინ. 21.15-17) და მას შემდეგ, რაც მონამებრივ სიკედილსაც უწინასწარმეტყველებს (ინ. 21.18-19), ეტყვის: „შემომიდევ მე“ (ინ. 21.19). პეტრე დაინახავს მონაფეს, „რომელი უყუარდა იქსეს, მისდევ-და რად, რომელი-იგი მიეყრდნა სე-რობასა მას მკერდდა მისსა“ (ინ. 21. 20) და უფალს ჰკითხავს: „ხოლო ესე რად?“ (ინ. 21.21), პასუხად კი ამასა მიიღებს: „უკუეთუ მინდეს ყოფა მაგისი, ვიდრემდე მოვიდე, შენდა რად? შენ მე შემომიდევ“ (ინ. 21.22).

რატომ შენიშნავს მახარებელი,
რომ ეს იყო მონაფე, რომელიც
საიდუმლო სერობისას იესოს
მკერდზე მიეცრდნო?

„არა უბრალოდ და უმიზეზოდ, არამედ იმის საჩვენებლად, თუ რა კადნიერება ჰქონდა პეტრეს მისეული უარყოფის შემდეგ. ადრე ვერ ბედავდა თხოვნას, ამას სხვას აგალ-დებულებდა, ახლა კი მას მიენდო ძმებისათვის ზრუნვაც... ამჯერად, არათუ სხვას არ ანდობს იმას, რაც მას ეხება, არამედ თავად სთხოვს მოძღვარს სხვისათვის: იოანე დუმში, ის კი მეტყველებს. აქ მახარებელიც წარმოაჩენს პეტრეს სიყვარულს მისადმი. მართლაც, პეტრეს ძალიან უყვარდა იოანე; ეს აშკარად ჩანს შემდგომ მოვლენებში, მთელ სახ-არებაში, საქმეთა წიგნშიც ვლინდება მათი სიყვარული ერთმანეთისა-დმი“ (წმინდა იოანე ოქროპირი).

გასხვენება იმისა, თუ როგორ მი-
ეყრდნო იოანე იესოს მკერდზე და
ჰქიოთხა გამცემზე (ინ. 13.24), ალ-
ბათ, აյ იმის განმარტების მიზნით
ხდება საჭირო, რატომაც ეკითხება
ამჟამად პეტრე იოანეს შესახებ: პე-
ტრეს უნდოდა, დაეჯილდოვებინა
იგი იმ უზინდელი სიკეთის გამო,
როდესაც იოანემ, იესოს მკერდს
მიყრდნობილმა, ისარგებლა თა-
ვისი დაწინაურებული მდგომარეო-
ბით და პეტრეს სამსახური გაუნია

(ინ. 13.24-25). ამუამად კი ჰეტრე, მოხმობილი ქრისტეს მიერ, არის რა იმავე ვითარებაში, თავს ვალდებულად მიიჩნევს, იოანესადმი მადლიერების გრძნობით, ჰყითხოს იქსოს მის გამო, რაც, მისი აზრით, იქნებოდა იოანეს დახმარება (ექვ-თიმე ზიგაბენი).

დღევანოზ ალექსანდრე პრო-
კოპჩუკის განმარტების მიხედვით,
„იესოს არ გამოუწვევია ოანე, რომ
გაჰყოლოდა, ხოლო პეტრე, სავსე-
ბით დაბნეული, ეკითხება მოძღ-
ვარს: „უფალო, ხოლო ესე რაც?“ (ინ.
21.21). ...მართალია, იოანე მისდევა-
და პეტრეს, მაგრამ მიჰყვებოდა არა
მას, არამედ ქრისტეს. თუკი იოანე
პეტრეს გაჰყვებოდა, ეს იმაზე მიან-
იშნებდა, რომ ისიც, პეტრეს კვალს
ადევნებული, უნდა მომკვდარიყო;
მაგრამ იოანე იესოსკენ წავა, გა-
ნაგრძობს ცხოვრებას და, მიუხედა-
ვად წასვლისა, ისევ ბრუნდება. ამი-
ტომაც პეტრე ასწრებს იოანეს - ის
პირველი უნდა მოკვდეს....

პეტრესა და ოთანეს კავშირი
გვაგონებს იესო ქრისტესა და ოთანე
ნათლისმცემლის ურთიერთობას:
„რომელი ჩემსა შემდგომად მოვ-
ალს, - ამბობს ოთანე იქსოზე, - ჩემ-
სა უწინარეს იყო, რამეთუ პირველ
ჩემსა არს“ (ინ. 1.15). მიუხედავად
იმისა, რომ პეტრე ოთანე მახარე-
ბლის შემდეგ მიდის ქრისტესთან,
უსწრებს მას“ (ნაგულისხმევია ეს
ეპიზოდი - ინ. 20.4,5,6: „რბილდეს
ორნივე ზოგად. ხოლო სხუად იგი
მონაფე წინა რბილდა უადრეს პე-
ტრესა და მოვიდა პირველად
საფლავად. ...და შინა არა შევიდა.
მოვიდა სიმონ-პეტრეცა შემდგომად
მისა და შევიდა საფლავად“, როდე-
საც ახალგაზრდა ოთანე გაუსწრებს
პეტრეს, მაგრამ ცარიელ საფლავი
პირველი პეტრე შევი).

„უფალო, ხოლო ესე რაა?“ (ინ. 21.21) - წმინდა ოთავე იქროპირის განმარტების თანახმად, რადგან უფალმა პეტრეს დიდება მიანიჭა - სამწყსო ჩააბარა და მონამეობა უწინასწარმეტყველა, თან დაამტკიცა, რომ მისი სიყვარული სხვათა სიყვარულზე მაღალია, და პეტრე, რომელსაც სურს, რომ ოთავე თანაზიარად ჰყავდეს, უფალს ეკითხება: „ხოლო ესე რაა?“ - ის არნამოვაზვანი აზით?

იესო უპასუხებს: „უკუეთუ
მინდეს ყოფად მაგისი, ვიდრემდე
მოვიდე, შენდა რად?“ (ინ. 21.22) -
იმავე წმინდა მამის განმარტებით,
ვინაიდან პეტრე უდიდესი მზრუნვე-
ელობით მეტყველებდა და იოანეს-
გან დაშორება არ სურდა, ქრისტე
მას უჩვენებს: როგორც არ უნდა
უყვარდეს იგი, მისი სიყვარული თა-
ვად ქრისტეს სიყვარულს ვერ შეეძ-

რება, ამბობს რა: „უკუუთუ მინდეს
ყოფად მაგისი... შენდა რა?“ ამით
გვასწავლის: ნუ ვიქებით იმაზე
მეტად ცნობისმოყვარენი, ვიდრე
ეს მას (ქრისტეს) ესათნოება... მათ
უნდა ეზრუნათ მრავალთათვის და
არ იყო აუცილებელი, ერთად ყო-
ფილიყვნენ... ამიტომ ქრისტე პე-
ტრეს ეუბნება: შენ მოგეცა საქმე,
იზრუნე მასზე, შეასრულე და იღ-
ვანე; და რა მოხდა, თუ მინდა, რომ
იოანე აქ იყოს? შენ შენს საქმეს
მიხედე.

ზოგიერთი განმარტებელი სიტყვებში - „უკუეთუ მინდეს ყოფად მაგის“ - არათუ იოანეს იძულებით, მონამებრივ აღსასრულს არ ხედავს, არამედ - არც ბუნებრივს (შდრ.: ინ. 12.34), ხოლო ნათქვამში - „ვი-დრემდე მოვიდე“ - ჭვრეტს იქმი ქრისტეს მეორედ მოსვლას, როდე-საც ცოცხლად დარჩენილნი არ განიცდან სიკვდილს, არამედ მყისიერად შეიცვლებიან (1 თეს. 4.17; 1 კორ. 15.51 და ა.შ.). [უფალი ამ-ბობს]: და თუ მე განვიზრახავ, რომ ჩემი მონაფე ცოცხლად დარჩეს, შენ რა? შენ მე გამომყევი ჩემი ტან-ჯვისა და სიკვდილის გზაზე, მას კი შეიძლება ჰქონდეს სხვა გზა (ეპის-კოპორის მიქაელი, ლუზინი).

მოგვყავს სხვა განმარტებითი ვერსიებიც, დაკავშირებული ნათქ-ვამთან: „უკუეთუ მინდეს ყოფად მაგისი, ვიდრემდე მოვიდე, შენდა რა? შენ მე შემომიდეგ“ (ინ. 21.22)

1) „იოანე არ მოკვდებოდა ძალ
მომრეობითი სიკვდილით, როგორც
პეტრე, არამედ იცოცხებდა მანამ,
სანამ თავად უფალი არ წაიყვანდა
მას ბუნებრივი სიკვდილის გზით.
....ძველი ისტორიკოსების უწყე-
ბით, თორმეტ მოციქულს შორის
იოანე იყო ერთადერთი, რომელიც
მონამებრივად არ აღსრულებულა
(შენიშვნა: პაპიასი, ჰიერაპოლის
ეპისკოპოსი (II ს.), იოანეს იუდეველ-
თაგან მოკლულად იხსენიებს და ამ-
ბობს, რომ შეუძლებელია ღმერთი
ცრუობდეს, როდესაც ამგვარად
უნინასწარმეტყველა ზებედეს შვი-
ლებს: „სასუმელი სამე, რომელსა
მე ვსუამ, სუათ, და ნათლისლებად,

რომელი მე ნათელ-ვიღო, ნათელ-იღოთ“ (მრკ. 10.39). გ. თ.);

2) ის არ მოკვდებოდა მანამ, სანამ არ დაირღვეოდა იერუსალიმი (70 წ.), რადგან სხვა მოციქულები, თორმეტთაგანნი, სწორედ იერუსალიმის დანგრევამდე აღესრულნენ, მხოლოდ იოანეზ იცოცხლა დიდეანს;

3) ზოგიერთი ფიქრობს, რომ ეს
ითქვა, როგორც მხოლოდ საყვე-
დური პეტრეს მიერ გამოვლენილი
ცნობისმოყვარეობის გამო, თორემ
ითანხმოვთ კანონის მეორედ
მოსვლამდე - ეს უსაფუძღლო
ვარაუდად უნდა ჩაითვალოს. უფა-
ლი ამ აზრით მიმართავს პეტრეს:
რატომ მეკითხები იმის თაობაზე,
რაც შენი საქმე არ არის და რაც
საიდუმლოა?“ (მეთიუ პენრი)

4) „ვინაიდან იოანემ დიდხ-
ანს იკოცხლა, სახელდობრ, იქსო
ქრისტეს ამაღლების შემდეგ სამოც-
დაცამეტი წელი ტრაიანეს დრომდე
და სხვა მოციქულთა შემდეგ მშვი-
დობით და უშვილოთველად შეისვენა
ბუნებრივი სიკვდილით, სწორედ
ეს აქვს მხედველობაში უფალს,
როდესაც ამბობს: „უკუეთუ მინდესა
ყოფა მაგისი, ვიდრემდე მოვიდე...“
(თეოდორე, მოფსუესტიელი ეპის-
კოპოსი).

5) „გთხოვ, აღნიშნე მახარებლის თავმდაბლობა, თუ როგორ სურს გამართოს მრავალთაგან არასწორად გაგება ამ სიტყვებისა; ზოგი ფიქრობს, რომ უფალმა აქ იგულისხმება, თითქოს იოანე არ მოკვდებოდა. ეს სწორი არაა; უფალს ეს არ უთქვამს, რომ იოანე არ მოკვდება; მან თქვა, რომ იოანე დარჩება პეტრეს შემდგომ, რომ იოანე პეტრეს-თან ერთად არ იქადაგებს.

ଧାର୍ଯ୍ୟବଳାଦ
ଅଧିକାରୀଙ୍କ ଶେଷ ଉପରେ ମନୋମାନ

“ ამჟამად უც გათიშოვეცხან საკულტურაში საქადაგებლად, - ეუბნება მაცხოვარი პეტრეს, - შენ მე მომყევი, ხოლო იოანე აქ დარჩეს, სანამ მე არ მოვალ ისევ და არ გამოვიყვან მასაც, როგორც შენ” (ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი).

6) „შენ მე შემომიდევგ“ - აქ კვლავ უარყოფილია რომაულ-კათოლიკური ცრუსწავლება, თითქოს პეტრეს უფლისაგან ჰაბარებული სხვა მოწაფეები, თითქოს იგი მათ „მთავრად“ იყო დადგენილი. უფალს პეტრესთვის, როგორც თავისი ადგილმოწაცვლისათვის, სხვა მოწაფეები რომ ჩაებარებინა, მაშინ, რა თქმა უნდა, პეტრეს უფლება ექნებოდა, ეკითხა იოანეს

